

აღდგომის მოწმეები

უფალი ჩვენი იესო ქრისტე, როგორც გვამცნობს წმინდა მოციქულების საქმეთა წიგნი, აღდგომის შემდეგ ევლინებოდა თავის მოწაფეებს 40 დღის განმავლობაში და საუბრობდა მათთან იმ ვალდებულების შესახებ, რომელიც მათ დააკისრა-გამყარებაზე, იმ ეკლესიის განვითარებასა და გაფართოებაზე, რომელიც მან დაარსა (საქმე.1,3). სწორედ ამიტომ ზეიმობს ჩვენი ეკლესია მოცემულ დიდ მოვლენას 40 დღის განმავლობაში დღევანდელი კვირა წარმოადგენს მიმდინარე წლის აღდგომის პერიოდის დასასრულს.

ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია, რომ ქრისტეს აღდგომა-წარმოადგენს ეკლესიის უდიდეს ისტორიულ მოვლენას, ამიტომ ვზეიმობთ მას ყოველ კვირა დღეს მთელი წლის განმავლობაში განსაკუთრებული სიდიდითა უფლის აღდგომის მოვლენისა იმაში მდგომარეობს, რომ (გარდა სხვა სასიკეთო მოვლენებისა) იგი ამყარებს იესო ქრისტეს ღვთაებრიობისადმი რწმენას. წმინდა მოციქული პავლე ანიჭებს ამას იმხელა მნიშვნელობას, რომ წერს: „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგება ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოება ეგე თქუენი" (1 კორ 15,14). ესე იგი ქრისტეს აღდგომის რწმენის გარეშე, რომელიც ავლენს მის ღვთაებრიობას, ინგრევა ყველა სულიერი მშენებლობა წმინდა ქრისტეს ეკლესიისა.

ეს ესმით ყველა ეკლესიის მტერს მისი არსებობის პირველივე წლებიდან დღევანდელ დღემდე. ამიტომ ისინი ცდილობენ დაარწმუნონ ყველა, რომ ქრისტე არ აღდგა და აქედან გამომდინარე, მათი სწავლებების შესაბამისად, მისი არ უნდა გწამდეს როგორც ღმერთის. პირველები ქრისტეს აღდგომის მოვლენის წინააღმდეგ იბრძოდნენ იუდეველი მმართველები. როდესაც უფლის სამარხის შეშინებული მცველები მივიდნენ იუდეველ მღვდელმთავრებთან და აუწყეს მათ ყოველივე, რაც მოხდა, მათ „ვერცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ და პრჭუეს: ესრეთ თქუენ, ვითარმედ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა" (მათე 28:12-13). რა თქმა უნდა ასეთი რამ არ შეიძლებოდა შემთხვევითად შეშინებულ უფლის სამარხის რომაელ მცველებს მათი მკაცრი წესრიგის გამო.

ასე ამბობდნენ იმ დროს ებრაელები, რათა შეერყიათ ქრისტეს ღვთაებრიობისადმი რწმენა. თუმცა-ღა ასე არ იქცეოდნენ იუდეველები შემდგომი სამი წლის განმავლობაში სახალხოდ უფლის ქადაგების დროს? ასევე მოიქცნენ ისინი დაბადებიდან ბრმის განკურნების შემდეგაც, რომლის შესახებაც მოგვითხრობს დღევანდელი სახარება. იუდეველი მმართველები არწმუნებდნენ ყოფილ ბრმას, რომ მისი განკურნებული იესო ცოდვილია! და ჩვენ მოვისმინეთ განკურნებულის საოცარი პასუხი: „ცოდვილი თუ არს, მე არა უწყი; ხოლო ერთი ესე უწყი, რამეთუ ბრმა ვიყავ და აწ ვხედავ... ანუ თქუენცა გნებავს მოწაფე ყოფად მისა?" (იოვ.9:24-27).

ესე დავა ქრისტეს აღდგომის წინააღმდეგ დღევანდელ დღემდე გრძელდება სიონისტურ ორგანიზაციასა და სექტის წარმომადგენლებს შორის, ეგრეთ წოდებულ „იეღოვას მოწმეებს" შორის. მათ დრო და დრო უერთდებიან სხვა უღმრთოები და სექტები. ზოგიერთი მათგანი ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მმართველი საერთაშორისო ცენტრის ძალით, არა მარტო ავსებს ინტერნეტს ჩვენი

უფალი იესო ქრისტეს წინააღმდეგ შეთქმულებებით, არამედ წიგნებსაც აქვეყნებენ, უშვებენ მთელ სატელევიზიო სერიალებს, რათა ცილი დასწამონ და დასცინონ წმინდა ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებული არიან აღდგომასა და თავად ღმერთკაც იესოსთან.

თუმცა-ღა, როგორც არ უნდა ბოზოქრობდნენ ქრისტეს აღდგომის მოწინააღმდეგეები, მათ არ ძალუძთ მიაღწიონ თავიანთ უკანონო მიზანს: „საულ, საულ, რასა მდევნი მე? ფიცხელ არს შენდა წიხვნა დეზისა" (საქმე 26:14). ეს იყო ხმა, რომელიც საულმა, შემდგომში პავლემ, გაიგონა, როდესაც დევნიდა მათ, ვისაც სწამდა ქრისტესი როგორც ღმერთის და სხვა მრავალი მტრები აღდგომისა საუკუნოების მანძილზე ხდებოდნენ მისი მქადაგებლები. რა დაემართათ ქრისტეს მოწინააღმდეგებს? ისინი დავიწყებას მიეცნენ და დაიკარგნენ. ან არა და ადამიანებში ცუდი მოგონებები დატოვეს თავიანთი საქმეების გამო.

ძმებო და დებო, სიხარულს, რომელსაც ცარიელი უფლის სამარხის წინ მდგომარე ანგელოზს მოაქვს, რომ იესო „აღდგა მკვდრეთით" (მათე 28,7), მილიონობით ქრისტიანი მთელ სამყაროში ქადაგებს. მას ჩვენ ვავრცელებთ, სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ. და, დაე დავრჩეთ „ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი" (ლუკ 20,36), ვაუწყოთ ყველას, რომ ქრისტემ თავისი აღდგომით აგვიყვანა მიწიდან ზეცაში, ჯოჯოხეთის სიბნელიდან თავისი მეუფების სინათლეში, სიკვდილიდან სამარადისო ჭეშმარიტ ცხოვრებაში, განდევნიდან კვლავ დაგვაბრუნა სამოთხეში, გვიბოძა სამუდამო სიხარული და ზეიმი. და ეს მდგომარეობა პირველ რიგში ჩვენ თვითონ უნდა განვიცადოთ. აღდგომის განცდამ უნდა აავსოს ჩვენი ცხოვრება. რათა ჩვენი სულები ზეიმობდნენ და ჩვენი სახეები გაბრწყინებული იყოს, როგორც ბრწყინავდა ღირსი სერაფიმეს სახე, როდესაც ესალმებოდა ყოველ შემხვედრს სიტყვებით „ქრისტე აღდგა, ჩემო სიხარულო!"

„ქრისტე აღდგა"- ეს ყველაზე სასიხარულო ამბავია კაცობრიობისათვის. თუ ჩვენ გულის სიღრმემდე ვისაზრდოებთ ამ სასიხარულო მოვლენით, იმით რომ ქრისტე აღდგა, ჩვენ სხვანაირი თვალთ შევხედავთ იმას, რასაც ცხოვრებაში ვეჯახებით. დიდ პრობლემებს სხვაგვარად შევხედავთ. ყოველდღიურ პატარ-პატარა პრობლემებს, რომელიც არღვევს ჩვენი ცხოვრების სიმშვიდეს, გადავლახავთ, არანაირ მნიშვნელობას არ მივანიჭებთ მათ. აღდგომის სინათლე გაგვინათებს ცხოვრების ბნელ მოვლენებს. აღდგომით „ყველა სინათლით აივსო" (აღდგომის კანონია ხმა 3). უფლის აღდგომის სიხარული აგვივსებს გულებს-„რა-მე თუ ქრისტე აღდგა, სიხარული სამუდამო" (ხმა 1).

აი ასეთია, სიყვარული ძმებო და დებო, ჩვენი მშვენიერი მოვალეობა. ვისაზრდოთ აღდგომის სიხარულით, გადავცეთ იგი ჩვენი ცხოვრების მემკვიდრეობით, მუდმივად, ჩვენი გარშემომყოფთ მივესალმოთ „ქრისტე აღდგა!"

Sermon Metropolit of Pisidia (georgian)